ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1314588

ნომერი: AR1224916

თარიღი : 01.06.2014

გაცემის თარიღი : 06.06.2014

გაცნობის თარიღი : 06.06.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მაგნიტოგორსკის ქუჩაზე არსებული საზოგადოებრივი რეტერატის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო ფარცხალაძე პ/ნ 01030005382
- ოთარ ლორთქიფანიძის 20

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი AR1224916 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქგეგმარებით დასკვნას მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.12.08.034.008) უსაძირკვლო, დროებითი სავაჭრო ჯიხურის განთავსებასთან დაკავშირებით. პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

არქიტექტურის სამსახურმა AR1191857 განცხადებით უკვე იმსჯელა აღნიშნული მიწის ნაკვეთის საშენებლო განვითარების საკითხთან დაკავშირებით და მიიღო უარყოფითი #1096456 გადაწყვეტილება, კერძოდ:

თქვენს დაინტერესებაში არსებული ტერიტორია მდებარეობს ერისთავის ქუჩის უშუალო სიახლოვეს. მასზე დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის–რუკის მიხედვით ვრცელდება სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ–1), რომელიც მდებარეობს ადმინისტრაციულ საზღვრებში და მოიცავს არსებულ და საპროექტო (პერსპექტიულ) ქუჩებს, გზებს, მოედნებს, გზატკეცილებს, ხიდებს გზაგამტარებს, დროებით ავტოსადგომებს, სარკინიგზო ხაზებს (გასხვისების ზოლის ჩათვლით), მეტროპოლიტენის მიწისზედა ხაზებს, ტრამვაის ხაზებს (ჩამონათვალის ფარგლებში – ტროტუარებს, ქუჩის მომიჯნავე გამწვანებულ ზოლებს, უსაფრთხოების კუნძულებს, გამწვანებულ გზაგამყოფებს, ტროტუარის მიმდებარე გაზონს, ზღუდარებს, დროებით ჯიხურებს, მიწისქვეშა შენობა-ნაგებობებს).

ზემოაღნიშნულიდან, მასზე მოქმედი ფუნქციური ზონიდან და მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.12.08.034.008) ფართობის სიმცირიდან (80 კვ.მ) გამომდინარე, არქიტექტურის სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას გასცეს დადაებითი ქალაქგეგმარებითი დასკვნა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აქვე დამატებით გაცნობებთ, რომ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.12.08.034.008) ვრცელდება განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონა, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა არქიტექტურული ობიექტების იერსახეს. ასევე მასზე ვრცელდება საზოგადოებრივ ტერიტორიებზე გარე ვაჭრობისთვის განკუთვნილი 2.5 მ–მდე სიმაღლისა და 6 კვ.მ–დე ფართობის მქონე დროებითი შენობა–ნაგებობების ან/და დანადგარების განთავსების შეზღუდვა.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.